საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003950

„ 19 " აგვისტო 2025 წ.   ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. ნიკოლაძის I ჩიხი N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს "ჯიოთიმ ვორკ" (ს/ნ 404882383
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელი არგვეთა; ფაქტობრ
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
მინისტრის 2013 წლის 30 მაისის N2-462 ბრძანებით გაცემული
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. (დასკვნა N11; 27.02.2012)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ N003950
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N003950 ადმინისტრაციული შემოწმების დასკვნა №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 3 გვერდი

(დანართის №, გვერდების რ-ზა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის შენიშვნის

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

პირველი ნაწილის შესაბამისად.

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible] უფროსის მოადგილე - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 19 აგვისტოს №003950 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2024 წლის 26 სექტემბერს, განხორციელდა შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხანა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 30 მაისის №2-462 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 27 თებერვლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) განსაზღვრული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული, **დეპარტამენტის 2023 წლის 29 ივნისის №003191 ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.**

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2023 წლის 29 ივნისის №003191 ადმინისტრაციული მიწერილობის **1.1 ქვეპუნქტის** შესრულების მიზნით, კომპანიამ არ უზრუნველყო ღია სივრცეში განთავსებული ნედლეულის (კარბონატული ქანების ნაშალი (კირქვა/დოლომიტი)) დასაწყობება დახურულ სივრცეში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

2. 2023 წლის 29 ივნისის №003191 ადმინისტრაციული მიწერილობის **1.3 ქვეპუნქტის** შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო ღია ცის ქვეშ (საწარმოს ტერიტორიაზე, რომელიც არ არის მობეტონებული) განთავსებული წიდის, საწარმოს ტერიტორიის დახურული შენობის ერთ-ერთ მობეტონებულ კუთხეში დასაწყობება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

3. 2023 წლის 29 ივნისის №003191 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-2 პუნქტის შესაბამისად,** კომპანიამ არ უზრუნველყო ტერიტორიაზე განთავსებული რკინა-ბეტონის, ჯართისა და ღუმელების შეკეთების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების გატანა და შესაბამისი უფლებამოსილ პირზე გადაცემა.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, 2024 წლის 3 ოქტომბერს, შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №088650 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 28 ოქტომბრის №4/215-2024 დადგენილებით, გადააკვალიფიცირა 79^8 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება და კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველ ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 5 000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

2025 წლის 19 აგვისტოს №003950 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯი თი ემ გრუპი"-ს მიმართ შემუშავდა, დეპარტამენტის 2025 წლის 19 აგვისტოს №003950 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2025 წლის 19 აგვისტოს №003950 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს "ჯი თი ემ გრუპ"-ის მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხანა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 30 მაისის №2-462 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2012 წლის 27 თებერვლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) განსაზღვრული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული დეპარტამენტის 2023 წლის 29 ივნისის №003191 ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ჯი თი ემ გრუპი" ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს საწარმოს ეზოში ღია სივრცეში განთავსებული, ნედლეულის - კარბონატული ქანების ნაშალის (კირქვა/დოლომიტი) დასაწყობება დახურულ ანგარში. შემდგომ, მუდმივად უზრუნველყოს ნედლეულის განთავსება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად **(2023 წლის 29 ივნისის №003191 ადმინისტრაციული მიწერილობის 1.1 ქვეპუნქტი);**

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ღია ცის ქვეშ (საწარმოს ტერიტორიაზე, რომელიც არ არის მობეტონებული) განთავსებული წიდის, საწარმოს ტერიტორიის დახურული შენობაში, მობეტონებულ ადგილზე დასაწყობება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად (**2023 წლის 29 ივნისის №003191 ადმინისტრაციული მიწერილობის 1.3 ქვეპუნქტი)**

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ტერიტორიაზე განთავსებული რკინა-ბეტონის, ჯართისა და ღუმელების შეკეთების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და მათი შესაბამის უფლებამოსილ პირზე გადაცემა **(2023 წლის 29 ივნისის №003191 ადმინისტრაციული მიწერილობის მე-2 პუნქტი).**